დნეპროპეტროვსკი. “მეტეორის” სტადიონი. 8 ივნისი. 30.000 მაყურებელი.

“დნეპრი” (დნეპროპეტროვსკი) – “დინამო” (თბილისი) 2:1.

“დნეპრი”: კრაკოვსკი, ჩერედნიაკი, გაგმუტი, პუჩკოვი, ლისენკო, ლიუტი, კუზნეცოვი, ლიტოვჩენკო, დილაი, პროტასოვი, ტარანი.

“დინამო”: გაბელია, მიქაბერიძე, ჩივაძე, მახარაძე, არზიანი, კაკილაშვილი, სვანაძე, სულაქველიძე, გურული, ფრიდონაშვილი, მესხი.

მე–17 წთ. ლიტოვჩენკო, 31–ე წთ. პროტასოვი, 36–ე წთ. ცაავა.

მე–12 წთ. კაკილაშვილის ნაცვლად – ცაავა, 61–ე წთ. არზიანის ნაცვლად ბარათაშვილი.

გააფრთხილეს სულაქველიძე.

მსაჯი: ვადიმ ჟუკი (მინსკი).

კარში დარტყმა: 9:14 (3:8), ზუსტი დარტყმა: 4:8 (2:6), საჯარიმო მოედნიდან 6:7 (2:3).

კუთხური: 6:5 (4:3).

დაჯარიმდნენ: დნეპროპეტეროვსკელები – 24 (9), თბილისელები – 21 (8).

დუბლიორები – 2:4. თბილისელთაგან გოლები გაიტანეს გოგრიჭიანმა (2), ბარათაშვილმა და ხატიაშვილმა.

შესაძლოა პარადოქსულადაც მოგეჩვენოთ, მაგრამ ფაქტია: მიუხედავად იმისა, რომ თბილისის “დინამომ” საკავშირო ჩემპიონატის სტარტიდანვე დაიმკვიდრა ადგილი სატურნირო ცხრილის ზედა ნაწილში, მისი მისამართით ქების სიტყვებს უფრო იშვიათად გაიგონებთ, ვიდრე საყვედურს. სპეციალისტები, ჟურნალისტები, გულშემატკივრები და, რაც მთავარია, თვით გუნდის ხელმძღვანელები ერთსულოვნად აღიარებენ, რომ “დინამოს” თამაშის ხარისხი ჯერჯერობით არ შეესაბამება გათამაშების ცხრილში მის მიერ დაკავებულ პოზიციას, მინსკში დიდი ანგარიშით (0:3) წაგებული მატჩის შემდეგ კი კრიტიკული განწყობილება კიდევ უფრო გამძაფრდა.

ყოველივე ამან ერთიორად გაზარდა “დნეპრთან” შეხვედრის მნიშვნელობა – არა მარტო (და იქნებ არა იმდენად) სატურნირო არითმეტიკის მხრივ, რამდენადაც ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. დნეპროპეტროვსკელებმა კი, პირიქით, წლეულს საკმაოდ ბევრი კომპლიმენტი მოისმინეს როგორც ევროპული მასშტაბის, ისე საკავშირო პირველობის მატჩებში. თუნდაც ის რად ღირს, რომ წლეულს “დნეპრი” უმაღლესი ლიგის ერთადერთი გუნდია, რომელსაც ჯერ არც ერთი შეხვედრა არ წაუგია.

…როცა “მეტეორის” სტადიონის ელექტროტაბლოზე დინამოელთა გუნდის შემადგენლობა დაიწერა, პრესის ლოჟას გამოცოცხლება დაეტყო. არც არის გასაკვირი: წინა მატჩის შემდეგ სტუმართა რიგებში სამი ცვლილება მოხდა, მინდორზე ახალგაზრდა, ნაკლებად გამოცდილი ფეხბურთელების გამოჩენამ კი “დნეპრის” ქომაგებს იოლი გამარჯვების იმედი ჩაუსახა. ამ იმედს ისიც აღვივებდა, რომ მატჩში არც ამჯერად მონაწილეობდა “დინამოს” მთავარი ბომბარდირი შენგელია. ბარემ აქვე ვიტყვით, რომ შეხვედრის მე–12 წუთზე დაშავდა კაკილაშვილიც, რამაც კიდევ ერთი იძულებითი ცვლილება გამოიწვია.

თუმცა, მე–12 წუთამდე ბევრი რამ მოხდა. უფრო სწორად, მოხდა ის, რომ სტუმრებმა თავიდანვე ხელთ იგდეს თამაშის სადავეები და საფუძვლიანად დამკვიდრდნენ მეტოქის ნახევარზე. დინამოელთა პირველი შეტევა მატჩის

პირველსავე წუთზე შეიძლებოდა გოლით დამთავრებულიყო. ჩივაძემ გრძელი გადაცემით გარღვევაზე გაიყვანა მესხი, რომელმაც კარგად აუარა გვერდი ორ მცველს, მაგრამ მეკარის პირისპირ დარჩენილმა ზუსტად დარტყმა ვერ შეძლო. მეტად სახიფათო იყო არზიანი–მესხი–მიქაბერიძის კომბინაცია (მე–15 წთ.), თუმცა გოლი არც მას მოჰყოლია.

მთელი ამ ხნის მანძილზე მასპინძლებს ერთხელაც არ დაურტყამთ გაბელიას კარისკენ, დინამოელებმა კი რამდენიმეჯერ სცადეს ბედი.

მე–17 წუთი. "დნეპრის" შეტევა. პროტასოვმა კარგად გაუგორა ბურთი ლიტოვჩენკოს, რომელმაც 20 მეტრიდან ძლიერად, მოუმზადებლად დაარტყა – 1:0. მასპინძელთა პირველივე დარტყმა გოლით დაგვირგვინდა. დინამოელები განაგრძობენ იერიშებს. მე–19 წუთზე ბრწყინვალედ ითამაშა ჩივაძემ, რომელმაც შენიშნა კარიდან ოდნავ წინ გამოსული კრაკოვსკი და სცადა ბურთი მეკარის თავს ზემოთ გადაეგდო – კრაკოვსკიმ ძლივს გადაარჩინა თავისი კარი.

31–ე წუთი. კვლავ ჩინებულად ითამაშა ლოტოვჩენკო–პროტასოვის წყვილმა. ამ უკანასკნელს ხელი არავინ შეუშალა და ანგარიში გაიზარდა – 2:0. უტევს ერთი გუნდი, გოლები კი მეორეს გააქვს.

სასიამოვნო იყო (და, შეიძლება ითქვას, მოულოდნელიც), რომ დინამოელები ვერც ამ ბურთმა გატეხა. ჩანდა, რომ ისინი დანებებას არ აპირებდნენ. ჩვენი გუნდის ამგვარმა სიმტკიცემ, ცხადია, დიდად გაახარა მისი გულშემატკივრები. ეს სიხარული კიდევ უფრო გაძლიერდა მას შემდეგ, რაც ცაავამ ერთი საპასუხო ბურთი შეაგდო და, ამგვარად, გამარჯვების ბედის გადაწყვეტა მეორე ტაიმს მიანდო.

შესვენების შემდეგ ანგარიში აღარ შეცვლილა, თუმცა მესხსა და ცაავას ბევრჯერ მიეცათ თავის გამოჩენის შესაძლებლობა. მესამე გოლის გატანა შეეძლო "დნეპრსაც", მაგრამ თამაშის დამთავრებამდე 20 წუთით ადრე გაბელიამ ლისენკოს დარტყმული პენალტი მოიგერია. საერთოდ, მეორე ტაიმი სანახაობრივი თვალსაზრისით ბევრად ჩამოუვარდებოდა პირველს. სწორედ ეს გარემოება აღნიშნა საკავშირო ტელევიზიის კომენტატორმა ნიკოლაი ოზეროვმა, რომელმაც მატჩის შემდეგ მითხრა, საწყენია, რომ თბილისელმა ტელემაყურებელმა პირველი ტაიმი ვერ ნახაო. ასეა თუ ისე, "დინამო" კვლავ დამარცხდა. მაგრამ ეს მარცხი არაფრით ჰგავდა "ზენიტთან" და მინსკის "დინამოსთან" წაგებულ თამაშებს. დარწმუნებული ვარ, დინამოელებს იმ მატჩებშიც ასეთი მონდომებით რომ ეთამაშათ, გულშემატკივრები მარცხსაც უფრო ადვილად აპატიებდნენ მათ. დნეპროპეტროვსკის მატჩში "დინამო" გამარჯვებულზე ნაკლებად ქებას არ იმსახურებდა (განსაკუთრებით – პირველ ტაიმში).

თუმცა ცალკეულ მოთამაშეებს მაინც უნდა ვუსაყვედუროთ. თუ წინა შეხვედრებში ნახევარმცველები თამაშობდნენ უფერულად, ახლა თავდამსხმელებმა დაგვწყვიტეს გული. ცალკეულმა ეფექტურმა ეპიზოდებმა ბევრით ვერაფრით გამოასწორა საერთო შთაბეჭდილება. ბოლოს და ბოლოს არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ თავდამსხმელის უპირველესი მოვალეობა გოლის გატანაა, რასაც მესხი და გურული ჯერჯერობით ვერ ართმევენ თავს. დასაშვებზე მეტი წუნი იყო არზიანისა და მახარაძის თამაშშიც, თუმცა…

პრესკონფერენციაზე "დნეპრის" უფროსმა მწვრთნელმა ვლადიმერ ემეცმა თქვა: "დინამომ" წააგო, მაგრამ გვაჯობაო. მწვრთნელის გულწრფელობაში ეჭვი არავის შეუტანია.

დავით კაკაბაძე ("ლელოს" სპეც. კორ.). დნეპროპეტროვსკი.
"ლელო", 11 ივნისი, 1985 წ.